# ხელშეკრულება #2023/10/053
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**ქ. თბილისი** **21 ივნისი 2023წ.**

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გურიელიძის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ „მიხეილ მირველაშვილის“ სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის“ მიერ **საკუთარი** შემოსავლებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გრაფიკული დიზაინის შექმნის (79822500) შესყიდვა.

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს.

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი პასუხობს კონკრეტული საქონლისათვის დადგენილ ნორმებს.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება, ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

## *6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღეში.

## *7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ

(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

### *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### *10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი*

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მზია შარაშიძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით. დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი**<br>**ა(ა)იპ »თბილისის ზოოლოგიური პარკი»**<br>**ქ. თბილისი, კოსტავას 64**<br>**საიდ კოდი 404902414** | **მიმწოდებელი**<br>**ფ/პ «მიხეილ მირველაშვილი»**<br>**ქ. თბილისი, გოგებაშვილის ქ. 24**<br>**სს „საქართველოს ბანკი"**<br>**კოდი BAGAGE22**<br>**GE46BG0000000547076296**<br>**საიდ.კოდი 01018004385** |
| | Mikheil Mirvelashvili 01018004385<br>Digitally signed by Mikheil Mirvelashvili<br>Date: 2023.06.21 15:24:04 |
| **ზურაბ გურიელიძე**<br>**დირექტორი** | **მიხეილ მირველაშვილი**<br>**ფიზიკური პირი** |

## ხელშეკრულება #2023/10/053-ის დანართი

| კოდი | დასახელება | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 79822500 | სტანდარტული საინფორმაციო აბრა, პირველადი დიზაინი | 382.65 |
| | სტანდარტული საინფორმაციო აბრა, არსებულის გადაკეთება | 63.78 |
| | არასტანდარტული საინფორმაციო აბრა, პირველადი დიზაინი | 382.65 |
| | არასტანდარტული საინფორმაციო აბრა, არსებულის გადაკეთება | 63.78 |
| | გამაფრთხილებელი აბრა | 63.78 |
| | სამუშაო საათების აბრა | 255.10 |
| | ქცევის წესების აბრა | 127.55 |
| | სალაროს მანიშნებელი | 63.78 |
| | ბილეთების ვიზუალი, პირველადი დიზაინი | 127.55 |
| | ბილეთების ვიზუალი, არსებულის გადაკეთება | 63.78 |
| | გზის მანიშნებლები, პირველადი დიზაინი | 255.10 |
| | გზის მანიშნებლები, არსებულის გადაკეთება | 63.78 |
| | ზოოპარკის შტენდერი | 191.33 |
| | ზოოპარკის რუკა | 637.76 |
| | საგანმანათლებლო ცენტრის ტრიპლეტი, პირველადი დიზაინი | 318.88 |
| | საგანმანათლებლო ცენტრის ტრიპლეტი, არსებულის გადაკეთება | 63.78 |
| | შესასვლელის დიზაინი | 637.76 |
| | ფეისბუქის ვიზუალები | 127.55 |
| | საიტის ბანერი | 127.55 |
| | კალენდრის დიზაინის მომზადება (შაბლონი - გარე და უკანა ყდები და შიდა გვერდი) | 255.10 |
| | მაისურის (ასევე ჭიქის) ბრენდირება | 255.10 |
| | ზოოპარკის ავტომობილის ბრენდირება | 382.65 |

**შემსყიდველი**
**ა(ა)იპ »თბილისის ზოოლოგიური პარკი»**
**ქ. თბილისი, კოსტავას 64**
**საიდ კოდი 404902414**

**მიმწოდებელი**
**ფ/პ «მიხეილ მირველაშვილი»**
**ქ. თბილისი, გოგებაშვილის ქ. 24**
**სს „საქართველოს ბანკი"**
**კოდი BAGAGE22**
**GE46BG0000000547076296**
**საიდ.კოდი 01018004385**

**ზურაბ გურიელიძე**
**დირექტორი**

**მიხეილ მირველაშვილი**
**ფიზიკური პირი**